

Capatect-Anputzprofil 694/10

ერთნაწილიანი ღიობების პროფილი, მინა ბოჭკოვანი ბადით და თვითნებვადი ლენტის ზოლით.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ერთნაწილიანი ღიობების პროფილი, მინა ბოჭკოვანი ბადით და თვითნებვადი ლენტის ზოლით. Capatect-ის ფასადის თერმოიზოლაციის სისტემებისთვის. წვიმისაგან დამცავი კვანძების შესაქმნელად. თერმოიზოლაციის და სამშენებლო ნაწილების მიერთების ადგილებში გამოსაყენებლად (ფანჯრები, კარები და ა.შ).

თვისებები

- მაგრდება საიზოლაციო მასალის დაწევაზე
- მიერთება ხრახნების გარეშე
- მიერთების ადგილებში სუფთა იერსახე
- წებოვანი ზოლი მინა პაკეტის შესაფუთად
- თვითნებვადი
- წვიმა მედეგი
- ულტრაიისფერი სხივების მიმართ მედეგი
- დაძველების მიმართ მედეგი
- მზადდება იგივე მასალისგან, როგორც საარმირო ბადე, არ შეიცავს სისტემისთვის უცხო მასალებს

შეფუთვა

ყუთში: 50 ცალი პროფილი		
პროდუქტის კოდი	პროფილის სიგრძე	ყუთის სიგრძე
694/10	1.5 მ.	75 მ.
694/20	2.2 მ.	110 მ.

ფერი


პროფილის კორპუსი: თეთრი
მინაბოჭკოვანი ბადე: ნარინჯისფერი

შენახვის პირობები

შენახვით მშრალ ადგილას, დაცავით ნესტისგან და პირდაპირი მზის სხივებისგან.

ტექნიკური პარამეტრები

- პროფილის კორპუსი დამზადებულია გადამუშავებული თერმოპლასტიკური მასალისგან
- პროფილის სიგანე = 16 მმ
- მინაბოჭკოვანი ბადის ზოლები დამზადებულია: Capatect-Gewebe fabric 650-დან - სიგანე დაახლოებით 130 მმ



გამოყენება

ზედაპირის მომზადება

ყველა ზედაპირი უნდა იყოს მზიდუნარიანი, სწორი, სუფთა, მშრალი და მოჭიდებისთვის ხელის შემშლელი ნაწილაკებისგან თავისუფალი. გამოყენებამდე აუცილებელია ზედაპირის ნებოვნებაზე შემოწმება. ფანჯრები და კარები უნდა იყოს დამონტაჟებული ნორმატივების და სტანდარტების მიხედვით, რომ გამორიცხული იქნეს არასაჭირო, ზედმეტი მოძრაობები.

ხარჯი

1,0 მ/მ


გამოყენების პირობები

დამუშავების და შრომის პროცესში გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5°C-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს +30°C-ს.

დატანის მეთოდები

პროფილი უნდა დაწებდეს უშუალოდ თერმოსაიზოლაციო ფილების დამაგრებამდე. პროფილი უნდა დაწებდეს რაც შეიძლება სწრაფად, რათა თავიდან იქნას აცილებული პროფილის უნებლიე მოწყვეტა ზედაპირიდან. სასურველი ზომა უნდა მოინიშნოს ზედაპირზე. ზედაპირი, რომელზეც მოხდება პროფილის დამაგრება, უნდა იყოს მზიდუნარიანი, სწორი, სუფთა, მშრალი, ყინვაგამძლე და მოჭიდებისთვის ხელის შემშლელი ნაწილაკებისგან თავისუფალი (მაგ. ცხიმი, ქუჩყი, მტვერი, ჭვარტლი, წყალმცენარეები და ა.შ.). გთხოვთ გაითვალისწინოთ ქარხნული წარმოების ზედაპირების თანდართული ინსტრუქციები. პროფილის გამოყენებამდე აუცილებელია ზედაპირის ნებოვნებაზე შემოწმება. პროფილის დაჭრა სასურველ სიგრძეზე, უნდა მოხდეს მისი ზედაპირზე დამაგრებამდე. ჯერ მოათავსეთ/მოარგეთ პროფილი და შემდეგ დააჭირეთ ზემოდან ქვემოთ. სწორი განლაგების შემდეგ, პროფილები მყარად ჩასვით/დააჭირეთ მთელს სიგრძეზე.

ფირის ზოლები გამოიყენება ფანჯრის ჩარჩოს დასაფარად და შესაბამისად უნდა იყოს დამაგრებული. საჭიროების შემთხვევაში, დაამაგრეთ ფანჯრის დამცავი ფირი, პროფილის თვითნებვად ზოლებზე. შემდეგ დაამაგრეთ თერმოსაიზოლაციო ფილები ისე, რომ ისინი მოერგოს პროფილის პლასტმასის ზოლის წინა კიდე. საარმირო მასის დატანამდე, პროფილის მინა ბოჭკოვანი ქსოვილი შესაბამისად გადაკვეთთ.



მითითებები

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისის საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge